

უსიტყვოდ

№ 18 (1412) სექტემბერი 1973

ნახ. ჯ. ლოლუასი

● **საბავშვო** **ს**

ბათუმის 50-ე წელი ფასი 20 კპპ.



ნახ. მ. აბაშიძისა

— ვერ ხელავ, გოგო? პირიანი გიჭი ყოფილა, გაყვრი ცოლა!

თავდასხმის მოლოდინში

იმ დღეს შარტოვანა ფეხზე ავღეპი-მეთქი, ვერ ვიტყვი (ლოგინიდან ცალი ფეხით იშვიათად ვადმოვ-დივარ), მაგრამ რატომღაც უხასიათოდ კი ვიყავი.

დღეს პირისპირ შეგხვდებით ერთმანეთს. ალბათ, ვერ ავცდები! გულითაც რომ მიხლოდეს, სად გავეპეცევი? სიტყვამ მოიტანა, თორემ გაქცევაზე თვითონ უნდა იფიქროს... მაგრამ არა, არ გავაცივებ, არ გავუშვებ!

„თუმცა, ეს მარტო შენს სურვილზე არაა დამოკიდებული! თუ სხვებმაც არ წამოგაწველეს ხელ-ფეხი, მარტოკაცი რას გააწყობ?“ — ღრღნიდა ჩემს რწმენას ვიღაც თუ რაღაც.

„უფრო ჩემზეა, სხვები მე შემომცქერაინ. ჩემგან ელიან მაგალითს. ცდას, ალბათ, არც ის დააკლებს, ხან აქედან მომიდგება, ხან იქიდან, ვინ იცის, დღეს რა იარაღს გამოიყენებს, მაგრამ წარბი არ უნდა შევიხარო! ახალი ამბავი ხომ არ არის? ადრეც ყოველთვის პირველნი მე მესხმოლენ!“

თითქოს აღარაფერს უნდა შეძლებოდა ჩემი გულის ძეგრის დაჩქარება! ბევრის, ძალიან ბევრის იარაღი დამბლაგვებია, ჩემს ყურებთან შიშის ყველა ზარი კარგა ხნის ჩამორეკელი იყო, თითქოს ყველაზე მძიმე წუთები უკან მუგულდებოდა და მაინც...

„შეშინდი? ხომ არ შეშინდი, ბიჭო?“ — ჩამესმა შინაგანი ხმა.

„შევშინდი? ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ შიში გერ არავის უძებნია ჩემში!“

„თუ ასეა, დამილოცინიხარ! შენ იცი და შენმა ვაყაცობამ! ვნახოთ, რა სიტყვის პატრონი ხარ!“ „ვნახოთ!“ — ისევ გამომელაპარაკა ჩემი ორეული.

...ნეტა, არც მე მენახა, არც ჩემს თანაგუნდელებს და არც ჩემს მაყურებელს: იმ დღეს ჩემს კარში ხლუთი „მშრალი“ პენალტი გაიტანეს.

მოკმედი პირნი:

1. ავტომანქანის პატრონი

2. ქურდი

ქურდი: მაპატიეთ, მაგრამ მანქანის ფარს ხომ არ იყიდით?

პატრონი: გმადლობთ, არ მჭირდება, ორივე ფარი მაქვს!

ქურდი: ახლა კი გაქვთ, მაგრამ, მალე შეიძლება, აღარ გექნეთ! იცით, როგორ იპარავენ ავტონაწილებს?

პატრონი: იქნებ თქვენ მართალიც ხართ! ერთი ზედმეტი ფარი არ მაწყენდა, მაგრამ ნაქურდალი რომ აღმოჩნდეს?

ქურდი: სულ არქონას ნაქურდალი არა სჯობს? მალაზიაში მაინც ვერ იშოვი, უფაროდ სიარული კი ძნელია.

პატრონი: ესეც მართალია, სადა გაქვთ ის ფარი?

ქურდი: ჯერჯერობით, ავტომანქანაზეა, მაგრამ მის მოხსნას რა დიდი საქმე უნდა?!

პატრონი: მაშ, თქვენ ქურდი ხართ? გრცხვენოდეთ!

ქურდი: ავი მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა?

პატრონი: კარგი, მაგრამ ჩქარა პქენით, ოღონდ მე ამ საქმის არაფერი გამეგება.

ქურდი: მაშინ ორი ასიანი ჩამოყაჭეთ და გავათავოთ!

პატრონი: ჯერ მოხსენით!

ქურდი: რატომ? იგი ხომ თქვენს მანქანას უკეთია?

პატრონი: მაშ, ჩემს გაქურდავს აპირებდით? უსინდისო!

ქურდი: უსინდისოდ კი არა, კეთილშობილურად გექცევით. ბევრი რომ არ გეძებნათ, თვითონ მე შემოგთავაზეთ, ფარი იყიდეთ-მეთქი, თუმცა იგი ახლა

არ გკირდებათ, მაგრამ რომ დაგკირდეთ?

პატრონი: კაცმა რომ თქვამართალი ხართ. ვიყიდი ისე ჩემს ფარს!

ქურდი: უეჭვალა! უკვე გამომდგარი და თქვენი მანქანისთვის ზედგამოჭრილია! სხვისთვის რომ მომეპარა, შეიძლება თქვენ სარ გამოგდგომოდათ!

პატრონი: რა თქმა უნდა! აი, ორასი ზლოტი!

ქურდი გმადლობთ! ფეხსაფენს არ იყიდით? იაფად მოგცემთ, სულ რამოდენათი! ზლოტის ამბავია!

პატრონი: ისიც ჩემია?

ქურდი: რა, ცუდია თუ?

პატრონი: არა, კარგია!

ქურდი: ეს ორი ნაწილი! თვეების ხუფებზე რას იტყვოდით?

პატრონი: ხუფებიც? ძალიან ხომ არ შევტოპეთ?!

ქურდი: მე მხოლოდ გირჩევთ! თუ მოგპარეთ, მასეთ ხუფებს ვეღარ იშოვნით!

პატრონი: რამდენი დამიჯდება?

ქურდი: ოთხასი ზლოტი.

პატრონი: უკანასკნელი ფული დამცანცლა. აჰა, აიღეთ!

ქურდი: გმადლობთ! თანახმა ვარ! ნახვამდის!

პატრონი: ნახვამდის!.. ნეტავი, ასე რამ მოამრავლა ეს ქურდები?!

ქურდი: თქვენ ეგა თქვით, მაშ! ნაქურდალ ნაწილებს მუშტარა რომ არ ჰყავდეს, ქურდებიც აღარ იქნებოდნენ!

პოლონურიდან თარგმნა
გიორგი მაკუშტაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რატომ კეტავ ონკანს?

— აქ სეროფიანი წყლის გაყიდვის ნებართვა კვიღა!

ნიანგის უოსვა

მ. ფოთიძე გვატყობინებდნენ, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა ქალაქის სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა. ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების სანიტარული დასუფთავების სპეციალიზებული გარაჟი სავსებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს: აღნიშნული გარაჟის მანქანები თვითნებურად, გრაფიკის გარეშე დადიან. რედაქციამ წერილი გააცნო ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც გვიპასუხა თავისი გადაწყვეტილებით:

„დაევალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების დასუფთავების სპეციალიზებული გარაჟის უფროსს ახ. მ. შიქავას გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლოვანებების უმოკლეს დროში აღმოსაფხვრელად და გაატაროს საქირო ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას და შედეგები აცნობოს საქალაქო საბჭოს აღმასკომს ორი კვირის ვადაში“.

ზმისტაფონიძე ბიბლაშვილის ქუჩაზე მდებარე პირველი და მეორე სამოცბინიანი სახლის მცხოვრებლები გვატყობინებდნენ. სასმელი წყალი ჩვენამდე არ აღწევსო. წერილი გაეგზავნა ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ.

„**ზესტაფონის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექციას** (აღნიშნული სახლები მათ მფლობელობაშია) გათვალისწინებული აქვთ 1978 წლის ბოლომდე შეცვალონ ძველი და უფარგისი მილები, ახალი უფრო დიდი გაბარატის მილებით, რის შემდეგ მრავალსართულიან სახლებში მცხოვრები პირები შეუფერხებლად მიიღებენ სასმელ წყალს“.


იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ შეპირებას წყალი არ გაუვა!
თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის ფაბრიციუსის ჩიხში მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩიხის სავალი ნაწილის დაზიანების გამო. წერილი გადაეგზავნა რაისაბჭოს აღმასკომს და პასუხმაც არ დააყოვნა:

„აღნიშნული ჩიხის სავალი გზა ნაწილობრივ დაზიანებულია, ხოლო ტროტუარზე დასაგებია ასფალტი, იმის გამო, რომ მოსული დიდი წვიმების შედეგად რაიონის სხვა ქუჩები გაცილებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, აღნიშნული ჩიხის შესაკეთებელი სამუშაოები ჩატარდება მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში“.

როგორც იტყვიან, აღდგომა და ზვალეო!
ბალანჩივაძის ქუჩაზე (თბილისი) მცხოვრებნი გვწერდნენ: სინათლე არც ბინებში გვაქვს და არც ქუჩაშიო. კოლექტიური წერილი გადაეგზავნა თელასს. საიდანაც მივიღეთ პასუხი: „ბალანჩივაძის ქუჩის მცხოვრებლების კოლექტიური განცხადების საჩივრის ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ ამჟამად მათ ბინაში ელენერგია ეწოდებათ ნორმალურად. ქუჩის განათების ნორმალური მოწყობისათვის საჩივარი გადაეგზავნა „თბილქალაქგანათების“ სამმართველოს“.

თუ ქუჩებიც განათდება, ერთი მადლობა „თელასს“ — საჩივრის გადაგზავნისათვის, ორი მადლობა კი „თბილქალაქგანათების“ — საქმის მოგვარებისათვის!

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ეს წიგნი რომ ვერ გამოვცა, თავი მომიპრება მთელ ნათესაობაში!
 — შე კაი კაცო, საქვეყნოთ თავის მოჭრას, ეგ არ პირჩივნი?!“



— ერთი ამ ბიჭის თავი გამისინჯა, გამოსცდამ გაღის!

საკვარელო ნიანგო ჟვენ სოპელში ასი კომლია არ გვაკვს მაგაზია ტელეფონი კინო მარული რომ ვიკიდოთ სამი კილომეტრი უნდა გავიაროთ მაგრამ ვაი გზაც არ გვივარგა რა გზაც დადავდეთ
 გორის რაიონი სოპელი კოშკების მცხოვრებნი

დზმაო ნიანგო ჟვენს კუჩაზე ცალკე ცუმპის სუნი გვაძუხებს ცალკე კოგოზბი გვკბენენ არიკა გვიშველეთ
 კუთაისი ავტოქარხნის მესამე შესახვევი

ჟვენო ნიანგო არ გვაკვს კულტმაგაზია არ გვაკვს ბიბლიოთეკა ტელევიზორი აჩვენებს სადზაგლად სად დავისვენოთ
 ინგურგესის მშენებლობის პოცხოეცერის დოხალები მუშები

დვირპასო ნიანგო ცლები განმავლები კეტება ცკალგაკვანილობა მაგრამ ბოლო არ უჩანს რა ცკალში ჩავარდეთ
 გაგრა სოპელი კოლხიდა

ჟვენო ნიანგო კვკონდა აბანო და საცობად გადააკეტეს აბანოში ნაჩვევი ვართ თანზე ჟუჩხი კვაძუხებსა
 გურჯაანი სოპელი ჩანდარი

საკვარელო ნიანგო დგისიტ გვიკეპენ და გვკბენენ გამიტ არ გვადვინებენ დვარლები გვიშველეთ სანამ სულ არ შეუჩამივართ ტბილისი ნუცუბიძის 215—217—221 ნომრების მცხოვრებნი

„ნიანგი“ ცალკე დამახინჯებული ღებეშების წაიკითხვამ შეაწუხა, ცალკე განმცხადებელთა მდგომარეობამ და მათ მდგომარეობაში შესასვლელად ეპატიჟება შესაბამის ორგანოებს.

საქართველო, ლეკაშვილი, დეკაშვილი

— პატრულმა შეგნობა! — მძაბთა...
სახლის მიწოდებას ანტიტერორის სამსახურს...

— პატრულმა შეგნობა! — მძაბთა...
სახლის მიწოდებას ანტიტერორის სამსახურს...



— პატრულმა შეგნობა! — მძაბთა...
სახლის მიწოდებას ანტიტერორის სამსახურს...

— პატრულმა შეგნობა! — მძაბთა...
სახლის მიწოდებას ანტიტერორის სამსახურს...



— პატრულმა შეგნობა! — მძაბთა...
სახლის მიწოდებას ანტიტერორის სამსახურს...

— პატრულმა შეგნობა! — მძაბთა...
სახლის მიწოდებას ანტიტერორის სამსახურს...

კრიტიკული თემატიკა

ნათქვამი ახლა კება, დღის წესრიგი წაიკეთა...
მერე ბანანს ავალოდვი გულხელად უნდა გიპირაო!

Large advertisement for 'მედიკოლა' (Medicola) medicine, featuring a stylized logo and descriptive text in Georgian.



რამოსელისკარი სიხინიძე

— ეს კაცს ვერსად ვერ დავაგულად კრავე!

— ვერაფერიც ეს ხალხი ვერ გავაძინო!

— პატრიარქის ბავაჯისი ბაგაჯანა რთუ ბიხინიძე.

Small advertisement for 'მედიკოლა' (Medicola) medicine, including contact information and a small illustration.



— ანბარიში მომიტანეთ!
— რის ანბარიში? ჩვენთან კაცი 20 მანეთია!

ნახ. ნ. მაღალკონიანი

რამდენიმე სურათი

ანუ

ეპიკური ჰორგავრების ცხოვრებიდან

მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი, როცა ბიძიკომ სახლს მომამორა. წამსვე საწყობში მე მიკრეს თავი ერთხანს ფულისგან ვიდექი შორა!

წამოხტა გამგე ლომივით ზეზე, შემძახა: „ვინ ხარ?! რა გინდა შენა?“ მყის ვუპასუხე: „შენთან ჩალიჩი, საქმეში გასვლა, ოჯახის რჩენა!“

ვკითხე: „ეს შენ ხარ, ჭამიაშვილი?“ თქვა: „რისთვის მოხვედ, მოყვრად თუ მტრად?“

„მოყვრად, შე კაცო! ნუ გემინია! შენი კაცი ვარ, იყავ მშვიდადა!“

გამდინდების გზას ვერ მიმასწავლი? „რატომ ვერ, ძამა, თუ გყავს პატრონი?“

აქ ფულის შოვნა გვიადვილდება, აქ ხომ ჩვენა ვართ ჩვენი ბატონი!

გელოდი, ძამა! მე ვარ მდიდარი, საწყობში მარტო მე მაქვს მეფობა,

გაშლილი არის აქ მუდამ სუფრა და რევიზორის რას მიზამს მტრობა?!

ჩემი საქმეა უფაქტურობა და იმპორტული ნივთები ხელში, მაქვს კურდღელივით ფხიზელი ძილი, თანაც რაყუთი ამომდის ყელში!

რომ ინტრიგანი სანდოდ მიგაჩნდეს, ემ ვერაფერი არის კვაჭობა! საქმე ის არის, ვერ გაგიბედონ აქტის შედგენა და სხვა ქაჯობა!

ფულს ფული იცნობს, „ლევს“ კი — სალტურა.

მაგაზე რაღად დავდალო ენა?! მწამს დანომრილ ფულს რომ არ მიიღებ

და ამიტომაც გენდობი შენა!“

(გაგარძელება სხვა დროს)

მანო ცინცაძე

ნახ. ვ. აუციანსი



უსიტყვოდ



— ცოცხალი ვარ, ცოცხალი!..

ყველა დაწესებულებას გააჩნია ლაიფს კედლის გაზეთი და ყოველ მათგანს ძალზე ღირებულ სახელწოდება აქვს მაგალითად: „სტომატოლოგის ხმა“ — სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას, „ჟურნალისტის ხმა“ — გაზეთის ან ჟურნალის რედაქციას, „ფსიქიატრის ხმა“ — ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოს, „პოლიგრაფისტის ხმა“ — სტამბას, „მონადირის ხმა“ — მონკავშირს, „პედაგოგის ხმა“ — სკოლას და ა. შ.

ალბათ, შეაშინეთ მისი ძირითადი კანონზომიერება: ყოველ გაზეთს ერთი გამაერთიანებელი სიტყვა — „ხმა“ აქვს. ყველანი დამეთანხმებიან, რომ ისეთი სტანდარტიზაცია შეზღუდული ფანტაზიის შედეგია: რა განსხვავება უნდა იყოს, მაგალითად, სტომატოლოგის, ან მონადირის, ან ჟურნალისტის ხმებს შორის? არა, განსხვავება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რადგან ყოველ მათგანს შეიძლება გააჩნდეს

ბოხი ხმა, მკვანე ხმა, ტკბილი ხმა და სხვა. მავე დროს, მონადირეები, ძირითადად, კაცები არიან, სტომატოლოგები კი — ქალები, მაგრამ ჟურნალისტები ხომ ქალებიც არიან და კაცებიც?! მოგესვენებთ, კაცების ან ქალების ბუნებრივ ვოკალურ მონაცემებშიაც დიდი განსხვავებაა. თუ არა ვცდები, თითოეული ოთხ ხმად იყოფა და კიდევ მათ შორისაც არსებობს პატარ-პატარა სხვაობა. მაგრამ, ვინაიდან კედლის გაზეთის სათაური არ გავუწყებს იმ სტომატოლოგის, ან მონადირის, ან ექიმის ვინაობას, ვისი ხმაც არის გამოყენებული ამ კონკრეტული გაზეთის სათაურად, ძნელი დასადგენი იქნება ამ ხმის ზუსტი კატეგორიაც. თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს სახელწოდება ამ დაწესებულებაში გაერთიანებული ერთი პროფესიის მუშაკთა ყველა ხმის ერთიანობას გულისხმობს, მაშინ გვექნება „მონადირეთა გუნდი“, ან, ვთქვათ, „ფსიქიატრთა კაპელა“, ან „პედაგოგთა ვოკალური ანსამბლი“ და სხვა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ერთ საძნელეს წააწყდებით ყველა დაწესებულებას არა პყავს კარგი სმენის მქონე საქმით რაოდენობის თანამშრომლები, ამას გარდა, ძნელია ყველა თანამშრომელი იძულებითი წესით ჩააბა თვითმოქმედ ვოკალურ კოლექტივში, ზოგს შეიძლება სხვა გატაცებაც გააჩნდეს. მაგალითად: უცხო ტენის შესწავლა ან ბადმინტონის თამაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, თავს ვალდებულად ვთვლი, შემოვიტანო ასეთი წინადადება: ყოველი დაწესებულების კედლის გაზეთი დასათურდეს არა მისი თანამშრომლების სპეციალობის მიხედვით, არამედ იმ სპეკიფიკის მიხედვით, თუ რას აკეთებს ესა თუ ის დაწესებულება, ან ვის ემსახურება, ან...

ვიღოთ: მონკავშირი. აქ გაცილებით მეტი ვარიანტების საშუალება გვექნება. ამიტომ, შესაძლოა, ყველა განყოფილებამ ცალკე გაზეთი გამოსცეს შემდეგი სათაურებით: „მტკიცებელი ცხოველის ყმუილი“, „თოფის ბათქი“, „მონადირე ძაღლების ყვფა“.

ქვემოთ ვთავაზობთ სავარაუდო სათაურებს: სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში — „კბილების ღრქიალი“, „პაციენტის ბღავილი“.

მეფრინველეობის ფერმაში — „კროხის“, „ქაკაინი“, „ყილიყო“.

მეტეხველეობის ფერმაში — „ძროხის ზმლილი“, „ღორის ღრტუნია“.

სტადიონზე — „მაყურებლის ღრიანცელი“.

ბაზარში — „მყიდველის ყაყანი“, „გამყიდველის შეძახილი“.

რესტორანში — „მრავალფემიერი“.

გამოსაფხიზლებელში — „ჩახლეჩილი ხმა“.

ტაქსების კანტორაში — „ხურდის ჩხრიალი“.

დასუფთავების ტრესტში — „სანაგვე მანქანის ზარი“.

წყალსადენში — „გახეთილი მილის შიშინი“.

სასაფლაოების ტრესტში — „სამარისებური სიჩუმე“.

... და სხვა მრავალი და მრავალი.

7
1973

ზოგი ქალაქელის დახმარება

როცა ყურძნის სიყვარულით ღობეს ეხვევიან

73-696

ქართული
ბიბლიოთეკა
ინდეკს 76137

